

სამნათმეცნიერო

ბობაჯანი



Linguistic

Papers

ფრანსუა ბაღი

ვასწავლოთ სტილი

მთარგმნელი ქეთევან ჯაში

შესაძლებელია ფრანგული ენის სწავლება ისე, რომ მოსწავლეებს არ მისცე ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ფრანგული ენა ცვლილებებს განიცდის? ფრანგული ენა, ამ მხრივ ბევრ სხვა ენას ჰგავს და უნდა გავაცნობიეროთ, რა მოხდება, თუ მას წარმოვადგენთ როგორც ჰომოგენურ ენას. მაშინ მისი სწავლება შეუძლებელი გახდება. დღეს სწორედ მასში მიმდინარე სტილისტური ცვლილებები იძენს დიდ მნიშვნელობას.

ის, რაზეც ვისაუბრებთ ამ სტატიაში, არ ეხება ენის ცვლილებას სივრცეში, რომლის ინტერესი, რა თქმა უნდა, უდავოა ფრანგული ენის შესახებ საერთო პერსპექტივის თვალსაზრისით (და იმ საკითხთან მიმართებითაც, რომელიც პირველ რიგში ექსპერტებს გააჩნიათ: თუ რას წარმოადგენს ფრანგული ენა მთელი თავისი რეალიზებული პოტენციალის მოცულობით მსოფლიო მასშტაბით?). ეს შეიძლება გვერდზე გადავდოთ, როდესაც საქმე ეხება იმას, თუ როგორ ვაღმოვცეთ აზრი ან გავაუმჯობესოთ ამ ენაზე მეტყველების უნარი.

ჩვენ ვისაუბრებთ იმის თაობაზე, რასაც ჩრდილოამერიკული ტრადიცია უწოდებს „სოციალურ ცვლილებას“ და „სტილისტურ ცვლილებას“, და რასაც ევროპული ტრადიციით უწოდებენ „დიასტრატიულ“ და „დიაფაზურ“ კატეგორიებს. თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ლაბოვისეულმა სტრუქტურამ შეძლო მოეცა სტილის დამაკმაყოფილებელი ანალიზი.

სოციოლინგვისტიკაში ცვალებადი კონსტრუქცია ამიერიდან კლასიკურ მოდელს წარმოადგენს.

სოციოლინგვისტიკის მამამ, ამერიკელმა ვილიამ ლაბოვმა შეგვაჩვენა, ერთმანეთისაგან გავვერჩია სოციალური მოვლენა სტილისტურისაგან. „სოციალური ცვლილება“ ხაზს უსვამს იმას, რაც ენობრივად განასხვავებს ორ თანამოსაუბრეს. ესენია: მათი პროფესია, განათლე-

ბის დონე, მეტყველების ჩვევა (როგორც ამას განასხვავებს ბურდიე 1982), მათი ცხოვრების ადგილი (ქალაქი თუ სოფელი), ასაკი, ზოგჯერ სქესიც და, რა თქმა უნდა, სოციალური ინტეგრაციის ხარისხი, რომელიც მიღრუამ 1987 წელს შემოგვთავაზა, რათა გაემდიდრებინა ლაბოვის მოდელი, რომელიც ემყარებოდა განსაკუთრებით განზომილებას. სამაგიეროდ, „სტილისტური ცვლილება“ გვხვდება ერთი და იმავე მოსაუბრის მეტყველების დროს, მისი საქმიანობის სხვადასხვა მომენტში, მსმენელთან მიმართებაში (და იმ ურთიერთობაში, რომელიც მასთან გააჩნია), ჰყავს თუ არა მას აუდიტორია და ხდება თუ არა აზრთა გაცვლა. (რა მიზნებს ემსახურება სახელმწიფოს თუ კერძოს, პირადს/ ინსტიტუციონალურს, ზეპირი თუ წერილობითი ფორმითაა), ბოლოს, დამოკიდებულია თუ არა მატერიალურ მდგომარეობაზე.

იმის გამო, რომ ტერმინ „სოციალურს“ უზუსტო გამოყენება ჰქონდა, მაგრამ არსებობდა სურვილი განესხვავებინათ ექსტრალინგვისტური პლანი და ენაში ამ პლანის შედეგები (ამგვარად დიასტრატიული ცვლილება არ ვახლავთ სოციალური ცვლილების ეკვივალენტი, არამედ ესაა სოციალურის ენობრივი გამოხატულების კვლევა), მივვიყვანა იქამდე, რომ დადგინდა ტერმინი, რომელიც განსაზღვრავს დაპირისპირებას დიასტრატიულ და დიაფაზურ ცვლილებებს შორის (გადე, 1998). ამ ტერმინს უპირატესობას ანიჭებენ, სინამდვილეში იგი არსებითად არაფერს ცვლის სოციოლინგვისტური სტრუქტურის წარმოდგენის თვალსაზრისით, რომლის მიხედვით სოციალური და სტილისტური ასპექტები ჰარმონიულად ავსებენ ერთმანეთს და ერთიანდებიან ენობრივ მოდელთან. თავიდან საუბრობდნენ „თანაცვლილებაზე“, რომელიც ჩაფიქრებული იყო იმისათვის, რომ ლინგვისტური ცვლილება ექსტრალინგვისტურ ცვლილებასთან დაეკავშირებინათ.

ენის ცვლილების სფეროების სასკოლო წარმოდგენა.

სწორედ გამოყენებითი ლინგვისტიკის ორ სფეროში წარმოებულმა დაკვირვებამ ისტორიულად მიგვიყვანა იქამდე, რომ მოხდა ენის ცვლილების, როგორც ერთ-ერთი მახასიათებლის ხელახალი შეფასება და კვლევის დახვეწა. ესენია მთარგმანი (მაგალითად, ზოგიერთი მწერლის ენა მკრძნობიარეა სოციალური საკითხების განხილვისას, როცა მათ ნაწარმოებებს ვთარგმნით ფრანგულად. ესენია: ჯოისი ან ალან სილიტოუ ან სელინი და კენო, როცა მათ ვთარგმნით ინ-

გლისურად) და ლექსიკოგრაფიული საქმიანობა (აუცილებელი ხდება ლექსიკონებში ცვლილების გამოყენების დაფიქსირება). ორივე განეკუთვნება ისეთ სფეროებს. რომელთაც აინტერესებს, თუ როგორ იყენებენ მათ ენის მომხმარებლები, ენის სისტემის კვლევის მთავარი პრობლემატიკის მიღმა (გადე, 1996).

პირველ ხანებში გაჩნდა ცნება „ენათა დონეების“ შესახებ, რომელიც თავდაპირველად მოხსენიებულ იქნა 50-იან წლებში, და რომელმაც ადგილი დაიმკვიდრა სწავლების პროცესში ძალზედ მწირი ფორმით. ის ძირითადად მხოლოდ ლექსიკის კვლევით იყო დაინტერესებული.

მშობლიურ ენაში, ისევე, როგორც უცხო ენაში, ენის დონეების ცნებამ, რეალურ წარმატებას მიაღწია. ამით, უდავოდ სურდათ განეხილათ დიდაქტიკის პრობლემები. ამ ცნების შემოტანით იგი ესადაგება ენის წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც ალბათ არსებობს „ერთი და იმავე რამის თქმის განსხვავებული ხერხი“. ამგვარად, მოსწავლეებს სთავაზობენ სიტყვებს, რომლებიც მათ უნდა „გამოხატონ“ ენის სხვადასხვა დონეზე, როგორცაა მაგალითად **gifle**-სილა, რომლის ლიტერატურული ეკვივალენცია **soufflet**, ფამილარული ეკვივალენცია **claque**, ხოლო ვულგარული ფორმაა **baffe...** ეს გვაძლავს ვივარაუდოთ, რომ არსებობს ლექსიკა, რომელიც ავტონომიური ენის სხვა პლანთან შედარებით (გრამატიკული და ფონეტიკური), და შესაძლებელია არსებობდეს ენის ფორმებს შორის ეკვივალენტობის ცნება (მაგრამ ჩნდება შეკითხვა: თუკი სხვანაირად ამბობენ, შესაძლებელია, რომ მართლა იმავეს ამბობენ?). კიდევ უფრო იშვიათია არსებობდეს გრამატიკის სახელმძღვანელოები, რომლებიც ასევე გვთავაზობენ ეკვივალენტებს სტრუქტურების დონეზე, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ასეთი მაგალითები კითხვითი წინადადებებისათვის. ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ როდესაც ვამბობთ **quand viens-tu?** - ფრანგულად სწორი ფორმაა, ჩვეულებრივი ფრანგულით შეიძლება წარმოითქვას **quand est-ce que tu viens?**, და **tu viens quand?** ფამილარული ფორმაა, ფორმას **quand c'est que tu viens?** ან სხვა რომელიმეს არასდროს იყენებენ, რადგან მიაჩნიათ ვულგარულად.

იშვიათადაა საუბარი სხვა გრამატიკული ფორმების შესახებ, და ფონეტიკური პლანი ამ წარმოდგენაში სრულიად განზე დგას: გრამატიკის სახელმძღვანელოებში არ საუბრობენ არც გადაბმაზე, არც მუნჯი **e**-ს შესახებ, არც ინტონაციაზე, არც კონსონანტურ გამარტი-

ვებაზე, თუმცა გადამწყვეტი მოსაუბრისათვის არის იმის გამოცნობა, რასაც გრამატიკოსები მიიჩნევენ ენის დონედ.

თანამედროვე ფრანგულ ენაში დიაფაზური ცვლილების პრიმატი.

თანამედროვე ფრანგული ენის სწავლების სირთულეს წარმოადგენს, დიაფაზური ცვლილება. ფრანგულმა ენამ განვლო პერიოდი, როდესაც გადამწყვეტ როლს ასრულებდა რეგიონალური ანუ დიატოპური ცვლილებები (XIX საუკუნეში). შემდეგ მას მოჰყვა დიასტრატული ცვლილებები, რომელიც გაპირობებული იყო ურბანიზაციითა და ინდუსტრიალიზაციით (დრო, როდესაც მნიშვნელოვნად დაირღვა წონასწორობა „ენებს შორის“, მოხდა ფორმების რადიკალურად ფრანგულ ყაიდაზე გადაყვანა). დღეს უპირატესობა ენიჭება დიაფაზურ ცვლილებას, რომელიც პარალელური პროცესია, რომლითაც სუსტდება მკვეთრი განსხვავება ლოკალურსა და სოციალურ მოვლენებს შორის. ამგვარად საფრანგეთში არსებული მდგომარეობა ალბათ განსხვავებულია დიდ ბრიტანეთში არსებული სიტუაციისაგან, სადაც ბატონობს დიასტრატული ცვლილებები (სანდერსი 1993), ან თუნდაც იტალიის სიტუაციისაგან, სადაც ურთიერთობა დიაფაზურ და დიასტრატულ ცვლილებებს შორის არ შეიძლება განვიხილოთ რეგიონალური და დიალექტური ცვლილებების გათვალისწინების გარეშე (ბერუტო 1995). ფრანგულში, რეგიონალური ცვლილებას აქვს დღეს საკმაოდ სუსტი ამპლიტუდა, რომელიც სულ უფრო სუსტდება (განსაკუთრებით წარმოთქმაში), რეგიონებს შორის უნიფორმიზაციის მძლავრი ფაქტორების ზეგავლენით, რომელიც ერთ საუკუნეზე მეტია მიმდინარეობს და რამაც შესამჩნევი გახადა უფრო ფართო გავებით დიაფაზური გამოყენების თანდათანობითი ცვლილებების განხორციელება (ესენია: შენობით საუბარი, მიმართვის ფორმები, მისალმება, ზრდილობიანი მიმართვის წესები), რომლებმაც ხელი შეუწყო ფრანგული ენის გარეგნული სახის ცვლილებას XX საუკუნის ბოლოს.

ფრანგებისათვის დიაფაზურმა შეფასებამ შეიძლება მიიღოს დავეწილი ნიუანსების ფორმა, მაშინ როდესაც განსახილველი ენობრივი ელემენტები შეზღუდულია თავიანთი ფუნქციონირების პოტენციალითა და რაოდენობით. ენის მატარებლებისათვის ცვლილებები განსაზღვრული რაოდენობით ხდება, მაშინ როდესაც ლინგვისტიკისათვის ცვლილებები მუდმივად ხდება. ორი ასპექტი მათ აძლავს

უარყოფს სათანადო ნიშნების ერთიანად წარმოდგენა:

1. ცვალებადი ნაწილაკების გამოყენება (მაგალითად მოსაუბრემ 0-დან 100% ჩათვლით შეიძლება არ გამოიყენოს უარყოფის ნაწილაკი **ne**. ეს საკმარისია ანგარიში გაუწვიოთ მეტყველების განსხვავებულ ტონალობას. მსგავსი რამ ხდება ყველა ცვალებადი ნაწილაკების ფუნქციონირებისას, ან გამოიყენება ისინი ან არ გამოიყენება;
2. ფაქტია, რომ განსახილველი ნიშნები არ ფუნქციონირებს პარამონიულად: სინამდვილეში ყოველთვის არა აქვს ადგილი ერთგვაროვნებას, რამაც შეიძლება შესამჩნევად შეცვალოს წინადადებაში მოცემული ინფორმაცია. (ამგვარად, ფორმაში **ils croient que dans ma tête ça ne va pas**, ზმნის მორფოლოგია თანაარსებობს უარყოფის ნაწილაკ **ne**-სთან).

როდესაც სურთ დაადგინონ განსხვავება სტანდარტულ და არასტანდარტულ ფორმებს შორის, ეს პროცესი თითქმის ერთნაირად მიმდინარეობს ენის მატარებლებისათვის. იმავეს თქმა არ შეიძლება, თუ მოვახდენთ არასტანდარტული წინადადებების იერარქიზაციას. ამას მოწმობს ის ექსპერიმენტი, რომელიც ჩაუტარდათ ენის მატარებლებს. ათიოდე კითხვით წინადადებაში, ინტუიციასზე დაყრდნობით მათ უნდა განესაზღვრათ და გამოეცნოთ ენათა დონეები, ნაკლებ სტანდარტულიდან არასტანდარტულ ფორმებამდე, რომლის დროსაც დაფიქსირდა შეუსაბამობა. ერთადერთი დამთხვევა იყო ფორმაში **quand que c'est que vous venez ?**, რომელიც მუდამ განიხილებოდა, როგორც ნაკლებ სტანდარტული ფორმა. სხვა დანარჩენი ფორმებისათვის პასუხი ძალზე განსხვავებული იყო.

ღიაფაზური ცვლილების სწავლება ფრანგულის, როგორც უცხო ენის შემთხვევაში.

მასწავლებელმა არ შეიძლება მოახდინოს ენობრივი ერთეულის გამოყენების მნიშვნელობის იგნორირება და ასევე არც იმ განსხვავებების იგნორირება, რომელიც სოციალურად თუ სტილისტურად მარკირებულ ფორმებს შორის არსებობს. საკითხი უფრო მწვავეა FLE¹-ში ვიდრე FLM²-ში, რადგანაც მოსწავლეს არ გააჩნია გარეგანი სოციალური რეფერენცია. ჩვენ განვიხილავთ ამ საკითხს ორი მაგა-

ლითით, რომლებშიც მსჯელობა ხდება ენათა დონეების მოდელისგან განსხვავებული ფორმით. სწავლების იდეალური ფორმა დღეს ალბათ ვერ იქნება ისეთი, რომ უცხოელმა აზრი გამოთქვას როგორც უცხოელმა ან იმეტყველოს წიგნის ენით.

უარყოფის ნაწილაკი **ne** დღეს იშვიათად გვხვდება ზეპირმეტყველებაში და დისკურსიულ ჟანრში. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მისი არ გამოყენება ზეპირ მეტყველებაში ამიერიდან მიგვითითებს სტანდარტული ფრანგულის არსებობაზე? ხომ არ შევთავაზოთ უცხოელებს ზეპირმეტყველებაში არ გამოიყენონ ის? მაგრამ, როგორ გავხადოთ უცხოელები უფრო მგრძობიარენი, გამჭრიახობა გამოიჩინონ სხვადასხვა სიტუაციაში? რევანი (1996) უცხო ენის მართვის თვალსაზრისით წარმატებულ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მისი ირლანდიელი სტუდენტები, საფრანგეთში ერთწლიანი სწავლების შემდეგ მეტყველებაში მთლიანად გამორიცხავენ უარყოფის ნაწილაკის **ne**-ს გამოყენებას, მაგრამ უფრო მგრძობიარენი არიან განსხვავებული სიტუაციების მიმართ.

რაც შეეხება ვალდმანს (1998), იგი საუბრობს სინტაქსური ცვლილებების კლასიკურ ფორმაზე, კითხვით ფორმაზე. ის გამოყოფს ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ და შექმნილ არგუმენტაციას, რომლითაც შეიძლება გაკეთდეს არჩევანი (დაუშვათ, რომ მოსწავლეებს ესმით ყველა ფორმა და მხოლოდ ნაწილს იყენებენ აქტიურად). ამგვარად კითხვითი ფორმის გამოყენების დროს, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა: 1) ინვერსიას მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იშვიათად იყენებენ ენის მატარებლები, და იგი ბევრი შეცდომის მიზეზია ენის შემსწავლელთათვის; 2) ანტეპოზიციას (**quand/il vient?**), ადვილად სწავლობენ და იგი ნაკლებ ექვემდებარება შეზღუდვებს, მას მნიშვნელობას არ ანიჭებენ ფრანგები. 3) რჩება ფორმები **est-ce que**-თი, საკმაოდ ნეიტრალური ფრანგებისათვის და სადაც დაცულია თხრობითი წინადადების სიტყვათა რიგი, მარტივია მისი აგება და ენის შემსწავლელი მინიმალური რაოდენობის შეცდომებს უშვებენ. სწორედ ამ მესამე ფორმას ასწავლიან უმეტესწილად, ყოველ შემთხვევაში დასაწყისში. ამკარაა, რომ შეცდომის დაშვების რისკი არსებობს, და პედაგოგი საკუთარ თავს უსვამს შეკითხვას, რა შეიძლება ნაკლებ სარისკო იყოს მოსწავლისათვის, ის რაც დაკავშირებულია სინტაქსთან თუ ის რაც დაკავშირებულია სოციოლინგვისტური თუ პრაგმატული ხასიათის ნორმის დარღვევასთან, თუ გაითვალისწინებთ, რომ

¹ FLE-Français langue étrangère — ფრანგული როგორც უცხო ენა

² FLM-Français langue maternelle — ფრანგული როგორც მშობლიური ენა

რთულია ასწავლო ენის ნიუანსი, ის რაც ფრანგების პრივილეგიას წარმოადგენს, სიტუაციის შეფასების უნარი.

საკითხი გადაუჭრელი რჩება.

მნიშვნელოვანი გზა იქნა განვლილი ენათა დონეების ცნების შემოტანით. 1980 წლიდან, ბევრი ავტორი, რომელთა შორისაც იმყოფებოდა ლაბოვი, შეეცადა დედაარსი ჩაედო იმაში, რაც მხოლოდ „განზომილებას“ შეადგენდა. 1984 წელს ბელმა გააკრიტიკა სიმეტრიის ცნება სოციალურსა და სტილისტურს შორის. შექმნა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც მათ შორის არსებობს დერევაციული ურთიერთობა, რომელსაც ის უწოდებს „სტილის აქსიომას“, რის მიხედვითაც სტილისტიკა სოციალური მოვლენების ცოდნის დეფორმირებულ სურათს წარმოადგენს, ცოტა შეზღუდული ფორმით, რომელსაც მოსაუბრე ქმნის განსხვავებული სოციალური სიტუაციებისადმი კონფრონტაციით, რომელთანაც მას შესაძლებელია ჰქონდეს ურთიერთობა. კუპლანი თითქოს გვიჩვენებს, რომ ეს მხოლოდ შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ სტილისტიკას ვიწრო გაგებით განვმარტავთ, რომლითაც შესაძლებელი ხდება მისი ლაბოვისეულ სქემაში შეყვანა, იმ მოვლენების მიუხედავად, რომელთა როლიც თითქოს მეტად მნიშვნელოვანი ჩანს მოსაუბრეთა ურთიერთქმედების მართვის დროს: ესენია: თავაზიანობა, მიმართვის ფორმები, და ყველაფერი ის, რაც არ შედის სათვალავში.

თუ ვალიარებთ დიაფაზური ცვლილებების მნიშვნელობას თანამედროვე ფრანგული ენის ფუნქციონირებისას, და თუ დავუშვებთ, რომ ეს ის ცოდნაა, რომლის გარეშეც ფრანგული ენის გამოყენება წარმოუდგენელია, მაშინ მომავალში სასურველია პედაგოგებმა, ისევე, როგორც ლინგვისტებმა, ამ კვლევის პრიორიტეტი აღიარონ. ჩვენ გამოვყოფთ ორ მიმართულებას: მოსაუბრეთა ინდივიდუალური ლექსიკის მასშტაბის შესწავლა და იმ ელემენტთა მრავალფეროვნების კვლევა, რომლებიც აგრეთვე შეიძლება სტილს განეკუთვნება და რომელიც მხოლოდ სოციალური დაკვირვების სფეროს აღემატება.

ბელი, 1984 — Bell, A. (1984) “Language Style as Audience Design, Language in Society, n 13, გვ 145-204;

ბერუტი, 1995 — Berruto, G.(1995), Fondamenti di sociolinguistica, Bari, Laterza;

ბლანშ-ბენვენისტი, 1997 — Blanche-Benveniste, C. (1997), Approches de la langue parlée en français, Gap et Paris. Ophrys ;

კუპლანი — Coupland, N., à paraître, « Language, situation and the relational self ; Theorising dialect-style in sociolinguistics », in RICKFORD, J.& ECKERT P.(Eds), Style and Variation: Proceedings of Stanford Workshop on Style, Cambridge University Press;

გადე, 1996 — Gadet, F. (1996), “Niveaux de langue et variation intrinsèque », Palimpsestes, n.10, გვ. 17-40 ;

გადე, 1998 — Gadet, F. (1998), « Cette dimension de variation que l’on ne sait nommer », Sociolinguistica, n 12, გვ. 53-71 ;

მილრუა, 1987 — Milroy, L. (1987) Observing and Analysing Natural Language. A Critical Account of Sociolinguistic Method, Oxford, Basil Blackwell.

რეიგანი, 1996 — Regan, V. (1996), “Variation in French interlanguage. A Longitudinal Study of Sociolinguistic Competence”, in R.BAYLEY & D. PRESTON ,(dir.), Second Language acquisition and Linguistic Variation, Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company, გვ. 177-201;

სანდერსი, 1993 — Sanders, C. (1993) (Ed), French Today: Language in its Social Context, Cambridge University Press;

ვალდამანი, 1998 — Valdaman, A. (1998), “La notion de norme pédagogique dans l’enseignement du français langue étrangère », in M.BILGER, K.VAN DEN EYNDE & F.GADET(dir). Analyse linguistique et approches de l’oral. Recueil d’études offert en hommage à C. Blanche-Benveniste, Leuven/Paris : Peeters, გვ. 177-188.